№2540 2014 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) პირველი პუნქტის 1.5, 1.33, 1.34, 1.35, 1.39, 1.45, 1.58, 1.62, 1.64 ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.5 საგარეჯოს მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 2 031 469 (ორი მილიონ ოცდათერთმეტი ათას ოთხას სამოცდაცხრა) ლარი დანართი №5-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;“;

„1.33 დმანისის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 1 363 849 (ერთი მილიონ სამას სამოცდასამი ათას რვაას ორმოცდაცხრა) ლარი დანართი №33-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.34 თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 945 265 (ცხრაას ორმოცდახუთი ათას ორას სამოცდახუთი) ლარი დანართი №34-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.35 წალკის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 1 329 018 (ერთი მილიონ სამას ოცდაცხრა ათას თვრამეტი) ლარი დანართი №35-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;“;

„1.39 ხაშურის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 2 062 697 (ორი მილიონ სამოცდაორი ათას ექვსას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარი დანართი №39-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;“;

„1.45 ხობის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 1 270 551 (ერთი მილიონ ორას სამოცდაათი ათას ხუთას ორმოცდათერთმეტი) ლარი დანართი №45-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;“;

„1.58 თელავის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 923 709 (ცხრაას ოცდასამი ათას შვიდას ცხრა) ლარი დანართი №58-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;“;

„1.62 ზუგდიდის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 3 027 952 (სამი მილიონ ოცდაშვიდი ათას ცხრაას ორმოცდათორმეტი) ლარი დანართი №62-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;“;

„1.64 ოზურგეთის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 4 090 617 (ოთხი მილიონ ოთხმოცდაათი ათას ექვსას ჩვიდმეტი) ლარი დანართი №64-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.“;

ბ) დანართები №5, №33, №34, №35, №39, №45, №56, №58, №62, №64, ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**